484000

ხელშეკრულება № 17/11

ქ. ქუთაისი *2 თებერვალი 2011 წელი*

ერთის მხრივ სსიპ „საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია", (შემდგომში „შემსყიდველი"), მის. ქ. ქუთაისი, ჩეჩელაშვილის №26. წარმოდგენილი მისი აღმასრულებელი დირექტორის ზაალ ჩომახიძის სახით და მეორეს მხრივ შპს „ორისი", წარმოდგენილი მისი დირექტორის დავით გოთოშიას სახით, (შემდგომში „მიმწოდებელი") მისამართი: ქ. თბილისი, ბაგრატიონის ქ№6 ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე: 352

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად მომსახურების შესყიდვა გამარტივებული შესყიდვის გზით წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

***მუხლი 2.* ხელშეკრულების ობიექტი და ღირებულება.**

2.1 მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს შემსყიდველის კუთვნილებაში არსებული 5 მომხმარებლიანი „ორის ბუღალტერიის" პროგრამის განახლება.

2.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულებაა 192 (ასოთხმოცდათორმეტი) აშშ. დოლარი დღგ-ს ჩათვლით.

მუხლი 3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

3.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას მასზედ, რომ მის მიერ მომსახურება განხორციელდება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

3.2. მიწოდებული განახლებული პროგრამა თავსებადი უნდა იყოს მის წინა ვერსიებთან და მონაცემთა ბაზებთან, ამასთანავე, იგი უნდა უზრუნველყოფდეს შემსყიდველის მფლობელობაში არსებული ელექტრონული გასაღების ამოცნობას.

მუხლი 4. მომსახურების განხორციელების პირობები

4.1 მომსახურება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 30 კალენდარულ დღეში.

4.2. მომსახურების გაწევის ადგილია: ქ.თბილისი, ჯ.ბაგრატიონის 6, მე-2 სართ.

4.3. ხელშეკრულების დადებიდან ერთი წლის განმავლობაში „მიმწოდებელი" უზრუნველყოფს უფასო სატელეფონო და საკონსულტაციო მომსახურებას მიმწოდებლის – შ.პ.ს „ორისის" ტერიტორიაზე.

4.4 „შემსყიდველს" უფლება აქვს მიიღოს პროგრამის განახლებული ვერსიები ერთი წლის განმავლობაში დამატებითი ანაზღაურების გარეშე.

4.5 იმ შემთხვევაში თუ პროგრამული განახლების პაკეტის კორექტული მუშაობისათვის საჭიროა სხვა ელექტრონული გასაღები, მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს მისი შეცვლა.

4.6 .პროგრამა და სახელმძღვანელო წარმოდგენილია „როგორც არის" ისეთი ფორმით და შეიძლება არ შეესაბამებოდეს მომხმარებლის ყველა მოთხოვნას. შპს „ორისი" არ იძლევა გარანტიას, რომ პროგრამა უშეცდომოა. შპს „ორისი" არანაირ ვითარებაში არ იღებს პასუხისმგებლობას მონაცემთა, ფულად, პირდაპირ ან არაპირდაპირ დანაკარგებზე, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს პროგრამის გამოყენებით ან გამოყენების შეუძლებლობით, იმ შემთხვევაშიც კი, თუ შპს „ორისი" წინასწარ იყო ინფორმირებული ამგვარი დანაკარგების შესახებ. არანაირ ვითარებაში დანაკარგების ანაზღაურების თანხა არ შეიძლება აჭარბებდეს მომხმარებლის მიერ ფაქტიურად გადახდილ პროგრამის ღირებულებას.

მუხლი 5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მომსახურება „შემსყიდველის" მიერ ჩაბარებულად ითვლება „მიმწოდებლის" მიერ განხორციელებულ მომსახურებაზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შედეგად, რომელიც დადასტურდება „შემსყიდველისა" და „მიმწოდებლის" მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით. მიღება ჩაბარების აქტს თან უნდა ახლდეს ანგარიშ-ფაქტურა.

მუხლი 6 ანგარიშსწორების პირობები

6.1. ანგარიშსწორების ფორმა: უნაღდო ანგარიშსწორება, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღისათვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის ან, თუ ასეთი არ არსებობს, [illegible] ვალუტო ბაზარზე მიღებული კურსის შესაბამისად ეროვ[illegible]

6.2. მომსახურების ღირებულება ანაზღაურდება მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 5 (ხუთი) საბანკო დღის ვადაში.
6.3. ანგარიშსწორებისათვის მიმწოდებელმა უნდა წარადგინოს, მიღება-ჩაბარების აქტი და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა.

მუხლი 7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი
7.1 ამ ხელშეკრულების შესრულების სისტემატიური კონტროლი განხორციელდება საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის კომპიუტერულ-ტექნიკური და პროგრამული უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსის მიხეილ ხეცურიანის მიერ.

მუხლი 8. დავების გადაწყვეტის წესი
8.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
8.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, მხარეთა შორის დავა წყდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა
9.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში, ყოველი დაგვიანებული დღისთვის მიმწოდებელს, ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.
9.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო მხოლოდ ხელშეკრულების ღირებულების 3%-ის ოდენობით.

მუხლი 10 ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა
10.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 11. ფორსმაჟორი
11.1 წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე არც ერთი მხარე არ აგებს პასუხს მეორე მხარის წინაშე და თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან საკუთარი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების გამო, თუ ამის მიზეზი გახდა საგანგებო ხასიათის მქონე გადაულახავი ძალა, რომლის წამოშობაზე ხალშეკრულების მონაწილე მხარეები პასუხს არ აგებენ და რომლის არსებობის ან წარმოშობის შესახებ წინამდებარე ხალშეკრულების დადების მომენტში არ შეეძლოთ სცოდნოდათ.
11.2 გადაულახავ ძალად ჩაითვლება შემდეგი:
ა) სტიქიური უბედურებანი (ხანძარი, წყალდიდობა, მიწისძვრა, შტორმი და სხვა);
ბ) გამოცხადებული ან გამოუცხადებელი ომი, სამოქალაქო არეულობა, ნებისმიერი სახის საომარი მოქმედებები, საგანგებო მდგომარეობა;
გ) ეპიდემიები;
დ) ბლოკადა ან ნებისმიერი ეკონომიკური ემბარგო;
ე) ხალისუფლების ნებისმიერი ერთეულის ან ხელისუფლების მიერ საამისოდ კომპეტენტურად განსაზღვრული ორგანოს გადაწყვეტილება და ისეთი ნორმატიული აქტების გამოცემა, რომლებიც ზემოქმედებენ მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და ცვლიან, წყვეტენ ან აჩერებენ წინამდებარე ხელშეკრულების დებულებებსა და პირობებს.
11.3. ფორს-მაჟორული მოვლენა დადასტურებული უნდა იქნეს კომპეტენტური ორგანოს მიერ.
11.4. ფორს-მაჟორული მოვლენების წარმოშობის შესახებ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის ხელთ არსებული საკომუნიკაციო საშუალებებით (ტელეფონი, ფოსტა, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა, კურიერი და სხვა) და წარუდგინოს კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული, აღნიშნული გარემოების არსებობისა და ხანგრძლივობის დამადასტურებელი ცნობა.
11.5. ფორს-მაჟორული გარემოებების შეწყვეტისთანავე მხარეები დაუყოვნებლივ აგრძელებენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.
11.6. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის პირობებში, ვალდებულებების შესრულების პერიოდი შეჩერდება იმ დროით, რა დროსაც გასტანა ასეთმა გარემოებებმა, თუ მხარეთა შორის არ იქნა მიღწეული სხვაგვარი შეთანხმება. თუ მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გაგრძელდა ერთ თვეზე მეტ ხანს, თითოეული მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, შეწყვეტის სავარაუდო თარიღამდე ერთ კალენდარულ ორ კვირით ადრე წერილობითი შეტყობინების გაგზავნით (ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით) ან სხვა ხელმისაწვდომი საშუალებით, რომელიც მიწოდებული იქნება მხარის მიერ იმ მისამართზე, რომელიც მითითებულ იქნა „შემსყიდველის“ პირველადი რეგისტრაციის დროს.

მუხლი 12 სხვა პირობები

12.1 ხელშეკრულების არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

12.2 ყველა ის შემთხვევა და პირობა, რომელიც გათვალისწინებული არ არის წინამდებარე ხელშეკრულებით, განიხილება და გადაწყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12.3 წინამდებარე ხელშეკრულება მოიცავს მხარეთა შორის არსებულ ყველა წინასწარ შეთანხმებას და შესაბამისად წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე ძალას კარგავს მხარეთა შორის წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერამდე არსებული და წინამდებარე ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი, მიმოწერა და ზეპირი შეთანხმება.

12.4 წინამდებარე ხელშეკრულების ყველა დამატება, ცვლილება და შესწორების ყველა დანართი წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

12.5 თუ წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შეიცვლება წინამდებარე ხელშეკრულების მე-14 მუხლში მითითებული რომელიმე რეკვიზიტი, მხარე მოვალეა დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს აღნიშნულის შესახებ მეორე მხარეს.

12.6 მოქმედი კანონმდებლობის ცვლილება, რომელიც ცვლის ან აუქმებს წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე დებულებას, არ იწვევს მთლინად ხელშეკრულების ბათილობას.

12.7 მხარეებს შეუძლიათ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ორმხრივად შეწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულება მისი მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე.

12.8 მხარეებს უფლება აქვთ ცალმხრივად შეწყვიტონ ხელშეკრულება მისი მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე, ან უარი განაცხადონ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, თუ მეორე მხარე არ ასრულებს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებულ მოვალეობას.

12.9 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

12.10 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედება

13.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ორივე მხარის მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

13.2 ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე სამი იდენტურ ეგზემპლარად. ორი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან, ხოლო მესამე ეგზემპლარი შემსრულებელთან.

მუხლი 14. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია	**შპს „ორისი“**
ქ. ქუთაისი, ჩეჩელაშვილის ქ.№26	მის. ქ. თბილისი, ბაგრატიონის ქ№6
ს.ს. ბანკი რესპუბლიკა დელისის ფილიალი	ს/ს „საქართველოს ბანკი“
ბანკის კოდი: **REPLGE22**	ბანკის კოდი: **BAGAGE22**
საიდენ. კოდი №204400200	ანგ. №3602100303
ანგ. №10590960082	საიდენ. კოდი №206033754
	ტელ: 38-43-43; 38-39-94
აღმასრულებელი დირექტორი	დირექტორი
ზაალ ჩომახიძე	დავით გოთუშია